

ივერია

რედაქცია: **ივერია**
ნიკოლოზის ქუჩა, № 11.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად

და განცხადებებთან დასაბუჯდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვა. გამომცემ. საზოგადოების კანცელიის ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., შემოთხვედ—3 კაპ.

„ივერია“ ტელეფონი № 227

გაზეთის ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერია“ ტელეფონი № 227

დაიბეჭდა და გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მალაზიას გასასყიდად ახალი წიგნი:

თ. ილია ჭავჭავაძე

ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი.

წერტილი პირველი

მ მ მ ა ხ ლ ა მ ა რ ი ს ა .

ფასი 20 კაპ. ვინც 10 ცალზედ მეტს დაიბარებს ხსენებულ მალაზიადან, მას 20% დაეთმობა. წიგნი იყიდება აგრეთვე ბ. ნ. იმედაშვილის წიგნის მალაზიაში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (10—უ.—9)

მსურს იჯარით ავილო სახლი

მ. ჭვილიძე

ერთისა ანუ რამდენისაზე წლით

იჯარით სახლის გაცემის მსურველმა მიაკითხოს „ივერია“ რედაქციას. (5—უ.—1)

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანახმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენად დაცვი შეიძლება, ფასი დასაკლავს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

ფას-დაკლებით წიგნები მარტო ამხანაგობის ვიდეოში იყიდება. ქ. ტფილისში, ლარის მედიკოსის ქუჩაზედ. ქალაქ-გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское издательское Товарищество.

წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად: თხუთმეტი ალ. უაზბეგის აკტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე. 1—
თხ. ი. დაკითხვისათვის სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი —50
დასაბეჭად და აღწერად ეტიუდი ბატონიშვილისა ლეკანდა-პოქის ბანახასა —10

ბნელი, მოთხრობა ნ. მელანისა (მსკედიანი) —25
თხ. ი. ჭავჭავაძისა, აკტორის სურათით და ფაქსიმილეთი I ტომი —70
იგივე II ტომი —60
იგივე III ტომი —60
იგივე IV ტომი —80
სოფლის გუნწულა დ. მანსაქისა —10
თხუთმეტი აკაკის I ტ. —60
„ „ იგივე II ტ. —60
თხ. რ. კრისტოფის I ტ. —60
ახაგები საბა ორბელიანისა, ბავშვებისათვის —25
საბრძნე-სიძრუე მისივე —40
საქართველო და მისი წარსული დრო შოტლანდია —20
აიკენგო ვოლტერ სკოტისა —50
აღმ-მამ-მანისა შემოსვლა ტფილისში —15
გაბრიელ კუბისკოვისა სურათით —15
სამხარეული ქართული და კერძო პიუღი საჭმელებისა 1—20
დგინის დაქუჩება პრეფექტორისა გ. პეტრიაშვილისა 1—50

ბაღაჩაძე —30
ცეცხლითა და მსკედიანთა —80
დასტურ-ღამა —10
(10—5—4)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდანიისა

(კუკიაში, ვორონოვის ძველის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

ღიღობით:

ბ. ა. ნავასარდანი, 11—12 საათ. საღმრთაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი. ე. მ. ჩაქოვანი, 9—10 საათ. სწეულბანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა. მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდეგა. 10¹/₂—11¹/₂ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუტრის. ზ. ი. ბაზანასიანი. — დილის 11¹/₂—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ო. თ. შრატსკევიანი. 12—1 საათ ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. შ. ანაბაძისანი. 1—1¹/₂ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურგია. 1¹/₂—2¹/₂ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე. —5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდანი—6¹/₂—7 საათ.

ა. ნ. შაჰოვანი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სწეულებას.

ტ. ი. რუდეგა—სამკურნალომ. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასო.

სოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. დირექტორი სამკურნალო საექსპლუატაციო მედიცინის ნავასარდანი. Первая частная лечебница Д-ра Навасардиана. Тифлисъ, противъ памяти. Воронцову. (7)

პკისრულოზ

ბაქსანისა და დაფსებას ტყეებისა, დაფსებას სოფლის მუღლის წარმოებისა, გლანმის აღმებს და ნიემლი-რუმებს. აღმესანდრე გირიორის ძე სენაქოვი. დაბარატორიის ქუჩა, სახლი № 26. ტელეფონი № 567. (50—80—45).

მთავრობის განკარგულება

ებოდა სამხსენის წესის შესრულების გამო, ტატულისა სოკეტნიკობა კავკასიის გზათა უწყების ოქტის დადგენისა გასუფილებების მე-4 დისტრიქტის უფროსის თანამდებობის აღმსრულებელს ინჟინერს ქორკაშელ. გამწესებულ იქმნენ: გიორგი ივანაშვილი—ბათუმის ფოსტა ტელეგრაფის კანტონის მე-VI ხარისხის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე; გლეხი ლუარსაბ ხელიძე—ტფილისის გუბერნიის გამგეობის კანტონის მოხელე. დანიშნულ იქმნა თიანეთის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ფოსტალიანი გიორგი ცისკარაშვილი—ბაშნარსენის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მე-VI ხარისხის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე. გადაყვანილ იქმნა: ცაგერის ფოსტალიანი, ასე რომ ის უნდა წასულიყო და ეძებნა ისეთი კაცი, რომელსაც ტანისამოსი სჭირდებოდა; ამასაც ისეთი ნივთი უნდა მიეცა ტანისამოსში თერძისათვის, რომელიც მეტურეს სჭირდებოდა, შემდეგში თერძი ამ ნივთს მეტურეს მოუტანდა და იმისაგან პურს იყიდდა. ამ გვარ ვაჭრობაში იმდენი დრო იხარჯებოდა, რომ შრომისაგან კაცს ხელი უნდა აედო, და უშრომლად-კი როგორღა უნდა ეცხოვრა? ამ გვარად შრომის განაწილება ძველს დროში იშვიათი მოვლენა იყო. დღევანდელი ძველის დროიდან და წარმოვიდგინოთ ის ქვის ხანა, როდესაც ხალხი მარტო მიწის მუშაობით სცხოვრობდა. ყოველს გლეხს მაშინ ჰყავდა ცხვარი, ძროხა და სხვა წვრილმანი შინაური საქონელი; ცოლი ცხვრის მატყლისაგან ოჯახობას ტანისამოსს უზადებდა, ქმარი კიდევ ძროხის ტყავისაგან ფეხსაცმელს ჰკერავდა, ძროხის ხორცისა და რძის საქმელებს ამზადებდა.

ტა ტელეგრაფის განყოფილების ფოსტალიანი მოხელე ივანე ხმალიძე — ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტონისა.

დათბოვნილ იქმნა, თავისისავე თხევანით, ჭაჭა ტფილისის მეხამე სანფოსტო განყოფილების ფოსტალიანი კბაფანე კეთილიძე.

ახალი ამბავი

ოთხშაბათს, 8 ივლისს, ტფილისში მოვილიან სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის უფროსს ბ. ნიკიტინს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიქცია ყურადღება ამიერ-კავკასიაში გავრცელებულს ქირს საქონლისა და იმის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოჰკაზვნა განჯის გუბერნიაში ბეთალი ზალივსკი.

ამ დღეებში ცეცხლი გაუჩნდა ტფილისის საბაღოსანო სასწავლებლის შენობას. ამჟამინ, რომ სასწავლებელს ბორჯბა-დანშობასა ცეცხლი ცეცხლი.

ტფილისის ბოტანიკურ ბაღში უკვე გამართულ იქმნა ტბა, სადაც უნდა მოაშენონ კავკასიის ქვირფასი და იშვიათი თევზი.

ტფილისის ოქტის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ შემდგინა გარდაწყვეტილება დაადგინა იმ დავის გამო, რომელიც ი. თაიროვსა და წამალაშვილის შორის არის ატეხილი: მკლანე მიწის მშობლის მონაწილეობით გასინჯულ იქმნას სადავო ნაჭეც მიწისა, ისე კი, რომ იგი გვემად იყოს აღებული და აღნიშნულ იყოს იმისი მდებარეობა. ორი კვირის ვადა მიეცეთ მოდავეთ,

ფელეტონი

როგორ გაჩნდა ფულის ხმარება.

ფული, ეს ის ჯადოს ჯოხია, რომელიც თუ ხელში აქვს ადამიანს, შეძლებას აძლევს, თუ უჩინარ სულთა ძალით არა, სხვისის შრომის ნაყოფით მიანიც ისარგებლოს. ფულის ფასიც სწორედ ეს არის. ვისაც ჯიბეში ერთი მანეთიანი აქვს, მას უკვე შეუძლიან დაებატონოს სხვისის შრომის რაოდენსაზე ნაწილს, რადგანაც ყოველივე, რასაც ჩვენ ფულით ვყიდულობთ, სხვისის ხელის გამრჯელობისა და შრომის ნაყოფს შეადგენს. ფული ის საშუალებაა, რომლის გამოც ერთი ჰშრომოს მეორესათვის და იმავე დროს თავისთვისაც. ამგვარად ფული ის კავშირია, რომლის მეოხებითაც თვით-მოყვარეობა და გრძობა მოყვსისათვის

ზრუნვისა ერთმანეთთან ადვილად თავსდება. კაცობრიობის მდგომარეობა უფულოდ მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, რომ თვით-მოყვარეობა ან სულ არა ყოფილიყო ქვეყნად და ან ცხოვრებაში მარტო ის ყოფილიყო გაბატონებული. ვთქვათ, ერთმა იშრომოს მეორისათვის მუქთად, მაშინ, რასაკვირველია, ჩვენთვის ფულიც არ იქნებოდა საჭირო, მაგრამ ამგვარ სანატრელ დრომდის განა მიღწევს კაცობრიობა? მეორეს მხრივ ვთქვათ თითოეულმა ოჯახმა საკუთრად იშრომა, როგორც ძველად იყო, მაგრამ როდესაც კაცობრიობაში საზოგადოებრივი ცხოვრება შემოვიდა, ესეც შეუძლებელი გახდა; მართალია, ძველად შრომის განაწილება იშვიათი მოვლენა იყო, შრომის მხოლოდ ოჯახში ცოლი და ქმარი ინაწილებდნენ, მაგრამ ჩვენს დროში, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრება მეტად რთული შეიქმნა, შრომის განაწილებლად ცხოვრება შეუძლებელია, ხოლო ფული-კი შრომის განაწილების უსაჭიროებს კუთვნილებას შეადგენს.

თერძი წელიწადში ორხელს ტანისამოსს თუ გაცვებს, ხოლო ამ დროს განმავლობაში იგი გაცილებით მეტსა ჰკერავს, ამგვარად ის მეტს დროს სხვის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ანდომებს. რასაკვირველია, თერძი ამდენს დროს უსარგებლოდ არ დაჰკარგავდა, სამაგიეროს რომ არ მოელოდეს. ამ მეტ ტანისამოსისათვის ის მეტ-პურისაგან პურს მიიღებს, მეტქმისაგან—ჩექმას, მეტქმისაგან—ქუდს და სხ. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ თერძს დიდხანს არ შეეძლო ამ გვარად ცხოვრება, მეტურე პურს იმ დრომდე მისცემდა, ვიდრე ტანისამოსი დასჭირდებოდა და ვიდრე ეს ნაყიდი ტანისამოსი არ გაუცვდებოდა, ლეკმა პურსაც არ გაატანდა. ამ გვარადვე მოექცოლნენ მეტქმე, მეტქმე და სხვებიც. აი, ამ შემთხვევაში რომ ფული არა ყოფილიყო, თერძის ცხოვრება გასაჭირი შეიქმნებოდა.

ბოდა, ასე რომ ის უნდა წასულიყო და ეძებნა ისეთი კაცი, რომელსაც ტანისამოსი სჭირდებოდა; ამასაც ისეთი ნივთი უნდა მიეცა ტანისამოსში თერძისათვის, რომელიც მეტურეს სჭირდებოდა, შემდეგში თერძი ამ ნივთს მეტურეს მოუტანდა და იმისაგან პურს იყიდდა. ამ გვარ ვაჭრობაში იმდენი დრო იხარჯებოდა, რომ შრომისაგან კაცს ხელი უნდა აედო, და უშრომლად-კი როგორღა უნდა ეცხოვრა? ამ გვარად შრომის განაწილება ძველს დროში იშვიათი მოვლენა იყო. დღევანდელი ძველის დროიდან და წარმოვიდგინოთ ის ქვის ხანა, როდესაც ხალხი მარტო მიწის მუშაობით სცხოვრობდა. ყოველს გლეხს მაშინ ჰყავდა ცხვარი, ძროხა და სხვა წვრილმანი შინაური საქონელი; ცოლი ცხვრის მატყლისაგან ოჯახობას ტანისამოსს უზადებდა, ქმარი კიდევ ძროხის ტყავისაგან ფეხსაცმელს ჰკერავდა, ძროხის ხორცისა და რძის საქმელებს ამზადებდა.

ბუნდენ, პური თვით მოჰყავდათ, ქუჩკელს თიხისაგან აკეთებდნენ და თავისისავე სახლის კერაზედ გამოსწვავდნენ ხოლმე, იარაღს გლეხი ქვისა, ხისა და კაყისის თითონვე აკეთებდა; ამ გვარად ყოველივე საჭიროება ოჯახისა შინვე ჰქონდათ და, რასაკვირველია, ფულიც არაფერი საჭირო იყო, არამც თუ ფულით ყიდვა, ამ გარემოებაში გაცვლით ვაჭრობა-კი შეუძლებელი-ხდებოდა, რადგანაც გლეხი ოჯახში თერძიც იყო, მეტურეც, მეტურეც, მეწვეც და სხვაც. . . . ამ დროს სოფელში ერთ მოსახლეს ისეთი რამ არ ექნებოდა, რაც მეორეს არ ჰქონოდა; მდიდარსა და ღარიბს შორის მხოლოდ რაოდენობითი გარჩევა იყო, მაგალითად ღარიბს რომ სამი ძროხა ჰყოლოდა, მდიდარს ათობით ეყოლებოდა; ღარიბს რომ ათი ცხვარი ჰყოლოდა, მდიდარს ოცობით ეყოლებოდა და სხვა. თუ ვისმეს საჭიროება დასტავდებოდა, ის თავის შრომას შესთავ



названий, тѣмъ болѣе, что этимология имени Эривань не поддается объяснению ни на одномъ изъ мѣстныхъ языковъ. Самая долина Аракса, по крайней мѣрѣ въ южной части Эриванской низменности, прилегающей къ Большому Арарату, называлась, какъ мы видѣли, Эривахи — именемъ созвучнымъ съ Эривани...

მაჰეს ჰატივი მოკასსენო ჰატივი-მუღს სწავლულს, რომ კრანია და კრანის სხეულწოდების კტიმოლოგია „поддается объяснению“. ჰართულს ენაზედ. ჩვენ, ჰართულები, ესლად სშირად ვიტყვით სოფელ: კრანია რანია, კრანია მრეკლი და სს. კ. ა. რანის რომ ბერკი სული ადამანი ეოლება წყარად, მდგაულს რომ დიდი მრეკლი ეოლება. კრანია, მე მკანია, წმინდა ჰართულა. კრი, ეკლას მრეკსენებთ, რასაც ნიშნავს. კანი—მრეკლი ჰართული სიტყვა, რომელიც წმინდას ადგილს, სადაც ბერკი, მრეკლი მოსასლა. მაგალითად, ჰეკო იმერეთში დღესაც არის სოფელი ამ სხეულწოდებით: კანი, ჰართული ტფილისის მარშაში მდ. იარის მარჯვენა მხრის მასლობლად არის სოფელი მუხრან-კანი. გარდა ამისა, სხეულწოდების წარადში ამ ენაქის ჰეკუნებს შორის დასახელებულია ამგვარი ჰეკუნები: გურანია, მელანია, კრანია და სხვანი, რომელთაც წმინდა ჰართული სხეულწოდება ჰეკო და ასეთი, მაგალითად, რეგორც გურანია და მელანია რომ დღესაც სოფლებია საქართვლოში.

საზოგადოდ უნდა შეინიშნოს, რომ სწავლულებისათვის ძლიერ საჭიროა ჰართულის ენის თითქმის ზედ-მიწევითი შესწავლა და ცოდნა, რომ წყვილადით მოგულს უმეკლესის უნდაც და ადარდებულების საინტერესო ჰეკუნების შეგნების დიადს საქმეს შექვი მოჰფინონ და ასისირო-ბაბაღანელების ძლიერი კულტურის გაკლას და ზედ-მოქმედება მერხეურულად გამოაკლდონ მთელის კავკასიის არა-მარკულად.

რომანოზ ფანცხავა

ნარკვევა

(ეურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთ „კავკას“-ში დაბეჭდილია ტფილისის საბჭოს ხმოსანის ნიკოლოზ ივანეს ძის თამამშვიის წერილი მეტივეების შესახებ. მოგვყავს ეს წერილი სრულიად და შეუტყვევლად: „ამ უმაღლეს, სასლდის ჰატრონები, დიდს გაჭირებულებაში ვართ: არ შეგვიძლიან შეკრფეთ შენობის აგებას და სასლდის გადაკეთებას. ათი დღეა, რაც ტუის მხეჩხავა ჰატრონების მუშაობა შეწყვეტეს, რადგანაც საჭიროა ხე-ტყე არა აქვთ. სოფლი ამას, რაც წინასწარ ხე-ტყისაგან გადაჩინათ, მეტად დიდ ფასად ჰყიდის. მე-ჰატრონების სიტყვით, 14 დღეა მის შემდეგ, რაც მეტივეებს ტყეები ადარ ჩამოაქვთ ტფილისში; მეტივეები ამბობენ, რომ არ შეგვიძლიან ვინა დოთ ჰატრონის სასარგებლოდ თითო ტაქში 6 მანეთი და მიწის ჰატრონისაც ცალკე ფული გამოიღოთ. ასეთი არ ნაირს ხარჯს კლარა ვუგანათ, რადგანაც ხე-ტყე ადგილობრივ მალაის მეტივეებს უფროსია. სოფლი თუ ჩვენ თითონ წავალთ ხე-ტყის სასუფლად, დიდი ზარალი მოგვკავია. „იმედი მაქვს, გამოკლას, იმის მუხედავად, რომ ცხენის რეინის გზის

გამოსედივით არის გართული, ეურადღებას მაქვს ამ მეტივეების საქმეს და გადასწავლეს მოქალაქეთა სასარგებლოდ, — მეტივეებს მისცემს ჰატრონებს, რომ მუშაობა დაიწყო, ხოლო სასლდის ჰატრონებს — სასლდების აგებას და შეკეთებას შეუდგენო“.

რაკი „კულტურისათა“ საბჭოს წევრმა მიაქცია ყურადღება, იქნება იპრიანოს ღმერთმა და ეხლა ქალაქის გამგეობამაც ყურები გააბარტყუნოს?!

რუსეთი

გზათა სამინისტროს განზრახვა აქვს ყოველ კერძო და სახელმწიფო რკინის გზაზე დააარსოს პატარა ავთოთაქი, რომელიც უნდა მოთავსდეს მატარებლის ერთს ოთახში და ჩაბარდეს რკინის გზის ფერშალს.

— ამ უმაღლესი განათლების სამინისტრო არდგენს ახალს წესებს ქალაქებისა და სოფლების ადამიან-სწავლებლებთან სახლობო კითხვების გამართვის შესახებ.

— ამ უმაღლესი გამოკვეყნებულ სასტატისტიკო ცნობებიდანა ჩანს, რომ ამ წლის იანვარსა და თებერვალში მთელის რუსეთის რკინის გზებით უმოგზაურია 7.814.716 კაცს და შემოსავალი ყოფილა 65 მილიონ მანეთამდის.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა ბნამ ერმოლოვმა განკარგულბა მოახდინა, რომ რუსეთის ყველა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას უფასოდ უნდა გაეგზავნოს ხოლმე სამინისტროსთან არსებული ჟურნალი „სოფლის მეურნეობა და ტყის მოვლა-მოშენება“.

— სასულიერო უწყებაში ლაბარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ყოველ ეკლესიასთან დაარსებულ იქნას განსაკუთრებული სამხრუნველო, რომელსაც საგნად უნდა ჰქონდეს სწავლა-განათლების გავრცელება და ჰეკელ-მოქმედება.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან დაარსებულ იქნა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გადათვლიეროს და ხელ-ახლოდ შეიმუშავოს აწ არსებული წესდება ნადირობისა. კომისიას სხვათა შორის განზრახვა აქვს შეიმუშავოს ახალი წესები სასარგებლო ფრინველების დასაცველად.

— მომავალ შემოდგომას დედათა სამკურნალო ინსტიტუტთან დაარსებულ იქნება საერთო საცხოვრებელი სახლი ამ ინსტიტუტის მოსწავლე ქალთათვის. სახლს 120 ოთახი ექნება, სასაღილო 200 სულისათვის და განათებულ იქნება ელექტრონით.

— განზრახვა აქვთ მომავალ ოქტომბერს ხელ-ახლოდ შეიმუშავონ რუსეთის რკინის გზებით წასაღებ-წამოსაღებ საქონლის გარდასახადის წესდება. პირველად რკინის გზების წარმომადგენელთა კრება შეიმუშავებს ახალს პროექტს გარდასახადისას და შემდეგ ფინანსთა სამინისტროსთან დაარსებულ იქნება განსაკუთრებული კომისია, რომელიც განიხილავს და დამტკიცებს პროექტს. — საურთიერთო დაზღვევის საქმის გასაგვრცელებლად და განსავითარებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახვა აქვს იმ გუბერნიებში, სადაც ერობა არ არის შემოღებული, დამზღვევ აგენტის თანამდებობა დააარსოს საგუბერნიო საკრებულოებთან.

ბონესაცენ. შემდეგ 165 ტყე-ესპანელი შემხდა, რომელიც ამერიკელებს სიბონეში მიჰყავდათ. შიმშილისა და დიდის წვალვისაგან მისუსტებული ესპანელი ძლივს მიათრევდნენ ფხებს. ტყეები ეხვეწებოდნენ ამერიკის რაზმის უფროსს, სიარული აღარ შეგვიძლიან, დავგებრიტეთ აქვე და გადავარჩინეთ ამდენ წვა-დაგვასო. ფიცერმა, რასაკვირველია, არ შეიწყნარა იმათი თხოვნა“.

— მადრიდის იუწყებანი, რომ აქ პოლიციამ ამ დღეებში დიდი შეთქმულება აღმოაჩინა. შეთქმულთა ზარაცა ჰქონიათ მეფის სასახლის აფეთქება. საზოგადოთ, გაზეთების სიტყვით, ამ უმაღლესი დედოფალი და მცირე წლოვანი მეფე აღფონსი დიდს განსაცდელში არიან ჩაცვივნილი. დღე დღეზედ ამბობენ მოვლოდებიან ესპანიაში. ხალხი უკმაყოფილოა. ყველგან უწყისობა და არეულობა სუფესო.

— ბრიუსელიდან ამბავი მოვიდა, რომ ამ დღეებში დონ-კარლოს მოლაპარაკება ჰქონდა თავის მომხრეებთანაო. ამ მოლაპარაკების დროს ესპანიის ტახტის მდიებელმა და იმის მომხრეებმა გადასწყვიტეს ჩერივდნენ ესპანიის საქმეში. დამრკოლებიანსა ყოფილა, რომ დონ-კარლოს ამისათვის საჭირო ფული არა ჰქონია. დონ-კარლოსის რწმუნებული ჰერცოგი სალფერინო უკვე წასულია პარიზში ფულის სასესებლად. გაზ. „Reforme“ ს სიტყვით, თვით დონ-კარლოსი ემზადება წასასვლელად, მაგრამ სად, ჯერ არავინ იცის.

ამსტრია. უნგრეთის დედა-ქალაქ ბუდაპეშტში პოლიციამ დააპატიმრა სამი მუშა—გარტმანი, კოვარი და მუსიჩი, რომელთაც განზრახული ჰქონიათ მოხუცებულის იმპერატორის ფრანც-იოსების მოკლა. შეთქმულთ იმპერატორის მოკლა ჯერ ისევ წარსულის წლის დეკემბერს განზრახავთ, მაგრამ სისულეში ვერ მოუყვანიათ. შეთქმულნი გაუცია ყვავილების მსყიდვად ქალს, რომელიც მუშისიონა სცხოვრობდა თურმე და რომელსაც იმისაგან შეუტყვია ყველაფერი. ერთი მათგანი, მუსიჩი, გამოტყვილა, ხოლო გარტმანი და კოვარი დიდს უარზედ დგანან თურმე.

დამაქვირდი

სულაქრათა სიყვარულითა ისილებების შორელო, ვითარცა მასლობელია. არსენი დიდი

არაჩინ სიდა ყველგაბულა სიგლასკისათვისა მამულისა. წმ. ეფთვიმე

გულას ფიცხელსა მდაბალი სიტუკა ჰეოფს დამაბაბულადა. ითან გეგენქორი

შურნალ-გაზეთებიდან

(ამოკრებილი ამბები)

მკურნალი კარტაზი სწერს ერთს ფრანგულს ჟურნალში, რომ ქლექიანებისათვის მეტად სასარგებლოა ბევრი ქაბა, მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ქლექიანებს საზოგადოდ მალე ნაკლებად აქვთ. საფრანგეთის ერთს მკურნალს რიბარს აზრად მოუვიდა მიმართოს სიცივეს, რომ ამით მალე გაუღვიოს ქლექით ავადმყოფთ. ცნობილმა მკურნალმა პიტემ თავი მოიჩინა იმით, რომ რამდენსავე წუთით ჩაღიოდა ძლიერ ცივს სარდაფში. პიტეს რჩევით,

ზოგერთი ავადმყოფები ქლექიანების სარდაფში, თუცა ეს საშიშარ მიზნად არ სრულიად განიკურნენ კულის ავადმყოფობისაგან, მკურნალმა რიბარმა რამდენჯერმე სცადა ეს თავის თავზე და ჩაღიოდა პიტეს ცივს სარდაფში, მაგრამ ყოველთვის ამჩნევდა, რომ შემდეგ ორის სათის განმავლობაზე ვეღარ გამოთბარიყო და ამცივნებდა.

ქლექიანებს თითქმის ყოველთვის ამცივნებს და ამიტომ მათთვის ძლიერ ცივს სარდაფში ჩასვლა შეუძლებელი იქნებოდა რიბარმა მაშინ შემდეგს საშუალებას მიჰმართა. აიღო პარკი, (რეზინისა, წყალს რომ არ იკარგეს) ჩაჰყარა შიგ ნახშირ-მეფე, თოვლსავით გასქელებული, და რამდენსავე დღის განმავლობაში ადებდა მუცელზე ქლექიანებს 15, 20 და 25 წუთით. რომ სუცელი ძლიერ არ შეცივებულიყო, პარკსა და ტანს შორის ავადმყოფს ბამბას ადებდა, რომ სიცივე არ ასულიყო 2-მ ზევით. მეოთხე ან მეხუთე დღეს ავადმყოფებს კარგი მალე მოსდიოდათ, ქლექიანები სიამოვნებით სკამდნენ საქმელს და ძალ-ღონე ემატებოდათ.

იმპერატორმა ალექსანდრე II რომ პარიზში რუსეთის ელჩად ბარონი ბუდბერგი დანიშნა, ლაპარაკი დაიწყეს, რომ ესა „ბერბებს“ კარგი დღე დაუდგათ, ამბობდნენ, რომ ბუდბერგი ამ ადგილზე იმპერატორმა თვისის ძმის დიდის მთავარის კონსტანტინე ნიკოლოზის რჩევით დანიშნაო. დიდს მთავარს შემდეგს შინაარსის წერილი მიუვიდა ერთხელ: „თქვენს უმაღლესობაზე! ბერბსა, ბუდბერგსა, ალფერბერგსა, შტაკელბერგსა და დანდებერგს რუსეთში კარგს ადგილებს აღლვეთ. გიზოვია თქვენს უმაღლესობაზე, თუ კარგი ადგილი აღმოჩნდა, მეც მამოგონოთ, რად ნაც მე ულამაზესი (der schüster) ბერგი გაზოვართ ყველა ბერგებში, შენბერგი ქალაქ კონიგსბერგიდან.“

მკითხველს მოგხსენება, რომ თუ უბრალო წერილი დაიკარგა და იმას არ შეივიდა, ვისთანაც გაგზავნილია, ფოსტა პასუხს არ აგებს, რადგანაც წერილის გამგზავნელს არავითარი საბუთი არა აქვს იმისი, რომ წერილი გაგზავნა. ფოსტა მხოლოდ მაშინ იძლევა ბარათს, როდესაც დაზღვეული წერილი იგზავნება. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ფოსტაში სხვა და სხვა მიზნების გამო წერილები იკარგება. რა თქმა უნდა კარგი იქნებოდა კაცს საბუთი რამ ჰქონდეს იმისი, რომ უბრალო წერილი გაგზავნა, რათა მერე შეიძლებოდეს უსაყვედუროს ფოსტას, თუ წერილი დაიკარგა.

ამერიკის გაზეთები სწერენ, რომ ნიუ-იორკში უკვე ისეთი ყუთები გაუქმებიათ ფოსტისა, რომელშიაც ჩაადგენს კაცი თუ არა წერილს, იგი თავის თავად დადავებს ნომერს და ყუთიდანვე გადმოვარდება ბარათი, რომელსაც აწერია ხელი ფოსტის დირექტორისა, რიცხვი და ნომერი წერილისა. ეს ყუთი შეუწყვეტლად ჰმუშაობს მაშინაც კი, როდესაც დღესასწაულისა გამო ფოსტაში სამსახური არ არის. ეს ყუთი გამოიგონა გრამმა კასტელა-ლიბრიცმა. ეგვი ირ არის, რომ მთელის ქვეყნის სახელმწიფოებში ამ გვარ ყუთებს ძლიერ მალე შემოიღებენ, მაგრამ არც იმის ეჭვი გვაქვს, სწერს რუსული გაზეთი „Народъ“, რომ ჩვენში ასეთი ყუთები ყველაზედ გვიან განიდება, იმ უბრალო მიზნის გამო, რომ ჯერ დიდ ხანს ვეძებთ გამოვიყვილოთ „ყუთილი საიმელო“ ასეთი ყუთები, თუ არა?

საინსტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: მთ *)

წიგნი № 58 (in quart, 207 გვ.) გადაწერილია ნუსხურით ისტორიკო-

*) „მც წერილში შევარულა კორექტ. შეკლომები სწერია (№ 141): „შვილსა თუ რასაც თერსა“, „სამს სწორედ ჩაუწერია“, „ოლანდარუმბე“, „ოლანდარუმბე“. „ოლანდარუმბე“. „ოლანდარუმბე“. უნდა ყოფილიყო: ...რასაც თერსა, საბას სწორედ...; ოლანდარუმბე, ოლანდარუმბე და სხ. იმავე №-ში სწერია: „თქვენცა ნაშრობნი დედათანი ხართ“. უნდა იყოს „თქვენცა ნაშრობნი...“

სის ვახუშტი ბატონაშვილისაგან 1749 წელს ქალაქ მოსკოვს.

სათაური წიგნისა: სასწაული მის ღვთისა ხატქრისტიკისი და აღსასრული საუკუნისა წინადასაგან საღთისა გომოცხადებულისა, ხოლო მოციქულურისა კითხვისა: „რა არს სასწაული შენისა მოსწავლისა და აღსასრული საუკუნისა“.

ამ კითხვის პასუხად ქრისტემ რქვა მოციქულს: „მრავალნი მოვიდოდენ სახელითა ჩემითა და იტყოდენ, ვითარმედ „მე ვარ ქრისტი“, და მრავალთა აცთუნებდენ: რამეთუ (აღსასრულის ეამს) აღსდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მეუფება მეუფებასა ზედა, და იყვნენ სიცილინი, სრვანი, ძრვანი ადგილადგილად; ესე ყოველი დასაბამი საღთისა არს; მაშინ დაპირაკოლდებოდენ მრავალნი, და ურთიერთას შინა განსცემდენ, და სძულდებდენ ურთიერთას; და მრავალნი ცრუწინასწარმეტყველნი აღსდგენ და აცთუნებდენ მრავალთა; რამეთუ იყოს მამონი კირი დიდი, რომელი არა იყო დასაბამითან სოფლისათ ვიდრე აქამომდე, არცა-ღა ყოფად არს, მაშინ უკეთუ ვინმე გრძვას თქვენ: აჰა, აჰა არს ქრისტე გინა თუ იქი, ნუ გრწამენ, რამეთუ აღსდგენ ქრისტე მტყუარნი და ცრუ წინასწარმეტყველნი, და ჰყოფდენ სასწაულებსა დიდ-დიდსა და ნიშნებსა ვიდრე ცთუნებდებდენ. (მათე, თ. 24, მ. 3-24).

ამგვარად წიგნში მოთხრობილია მრავალი გარდამოცემი შესახებ ხატქრისტიკისი და აგრეთვე განსილუდაც ის კითხვა, თუ რომელსა და რომელ საუკუნეში მოქალაქენ ქვეყნის აღსასრულს. წიგნის მეორე გვერდზე კითხვად მოხდა: „გარდაწერა რუსულისაგან ქართულად ჩემ მიერ მეფისა შვილისა ვახუშტისათი ქალაქისა დიდსა მოსკოვს, წელსა ქრისტესსა ჩემთ (1749 წ.) მაისის თვესა, ხოლო ხუტურ წერათა შესრულდა ივლისის 18“ (17 ივლისის).

ამ ცნობას მოსდევს ლექსი. ლექსის სტროფების მეთაურია ასაკობა აღნიშნავს აკროსტის რუსულის წიგნისას „ხატქრისტიკა“. ამ წიგნის მთხრობელი უფროსად სტროფანი, მიტროპოლიტი „რახანის მურმანისა“.

წიგნის ბოლოში ვახუშტის ხაზრთაგან არა ლექსი: ბარეგელის მეთაურია ასაკობა გამოთქვამენ: „ვახუშტემ გსთარგმნე მეფისა ქემ“; მეორის სიტყვების მეთაურია ასაკობა გამოთქვამენ ფრანკსა: „ვახუშტი დაჰყვერ თარგმნობით, მიწოდდენ მეფისა შვილობით“.

პირველი ეს ლექსი: მაქებ ბრძნულსა გამოკვლევას ამ წიგნისა თქმულდება ხოლონად მმართველსა სწავლულება შფროს განრქმით გონებასა შორად ვეწმენ ძიებასა; ძველ დავება რწმუნებასა; იეცთაო მეგრად მოჩილმან, მცირეს ელი ხანებასა; შერ რა ირგო ურჩებთა, სახელც ვეწმენ თვთ ანტესა; თავი სწავრთე ამ წიგნითა რწმენად ქრისტეს უმეტესა; ბევნი ურჩს მიეღოს, მისთვის არს არ დაშრტესა, ნეტარება მოგვეცემის მკლესიის შემგვრეტესა, მით დავწერე წიგნი ესეც, მხოწმების მისვე თქმულსა. ფშეს კლდე სარწმუნობისა, იხმევეს ოდეს თუ განკულსა. სრულ ითარგმნა ისიც ჩემგან, ძეგლად მთქმელის დადებულსა მეგმ მიქნას მეც ხსენება მათმან კითხვამ გარდასრულსა.

მეორე ლექსი მნატრი ახალ ხეროვნობას უქეთესა შწყობილსა, ტბილს იხილავ დაწერილსა, ამას ვითარ შემკობილსა. მაქებ მსრუთს რიგოვანსა

თანად პრათ რით გომობლსა; მქნებას ნათობს ორგინთგანვე, ბუნებთა იქს თმობილსა; მუშაი იწყებს წუხილსა, ოდეს დიდს დაიგულვებსა. მგრე ზედ ნებას მწეობა, მქნების, შრად იშვებსა, საწადლს შეხვდეს მხეულსა, იხარებს ლინსა ორებსა. ბელსა იდიდებს თვისად ბელს მისცემს ნათობს დარებსა.

ვახუშტი, უკანონო შედეგ ვახუშტი მუქებისა, დედამასთან, ქმებთან და დედაცობასთან ერთად გადასასდდა რუსეთს 1724 წელს. ამ გადასასდებამ საქართველო ფრად დასაბუნა, რადგან რწმუნეა გარება გამოკვლა... მ. ჯანაშვილი

დეკემბა

(რუსეთის დეკემბრთა სააგენტოსაგან).

5 ივლისი

მადრიდი. საგასტამ განაცხადა, რომ არც მთავრობას და არც ბლანკოს მოლაპარაკება არ დაუწყიათ სანტ იაგოს გადაცემის შესახებ. ამ საგნის გადაწყვეტა მარტო ტორალესის შეეძლოა.

ვაშინგტონი. სამხედრო სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ იქნა შატერის დებეშა იმის შესახებ, რომ ესპანელთ სანტ იაგო ამერიკელებს გადასცეს.

მადრიდი. კამბონის მეოხებით მთავრობა შეუდგა ზავის შესახებ მოლაპარაკებას შეერთებულ შტატებთან. ესპანია თანახმაა, რომ თვით კუბის ხალხმა ხმის უმეტესობით გამოსთქვას თავისი აზრი, რა გვარი წეს-წყობილება ჰსურს.

პარიზი. მინისტრთა საბჭოში დეკლასემ აცნობა თავისს ამხანაგებს ამბავი აღმირალთა მეცადინეობის შესახებ კრიტის დროებით გამგეობის საქმის მოწყობისა.

ნიუ-იორკი. სამხსონის ესკადრა სანტ-იაგოში შევიდა.

გონაონი. ჯანტონიდგან მოსული დებეშა იუწყება, რომ ახალიჩინეთის დასის წარჩინებულნი წევრნი შეიკრიბნენ აქ იმისათვის, რომ ამბოხებას ხხარი მისცენ. როგორც ისმის, ახალი მთავრობა იქმნება შემდგარი ისეთის ჩინელებისაგან, რომ მელნიც ევროპის იდეებით არიან გამსჭვალულნი. ინგლისმა და ესპანიამ აღუთქვეს მხარს დაეკუთრო.

ვეტმარზონი. „წითელის ჯვრის“ მთავარ-გამგეობის კასამ მიიღო შემოწირულება ხელმწიფე იმპერატორისა 500,000 მან. იმ გლენთა სასარგებლოდ, რომელნიც შევიწროებულ იქმნენ 1897 წლის ზოგიერთის ადგილის მოუსავლობით.

შინაგან საქმეთა მინისტრმა, მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ გაზეთმა „Русь“-მა დაარღვია კანონი, რადგანაც მე-ნომერში დაჰბეჭდა გრფის ლევ ტოლსტოის წერილი „შემშლილი ანუ უშომშლობა“, დაადგინა: გამოეცხადოს პირველი გაფრთხილება გაზეთ „Русь“-ის გამოშვებულს გაიდებუროვსა და რედაქტორს გოლოვინსკის.

— ანდიანის სამხედრო მოსამართლემ ფერანის ოლქში მომხდარ

აჯანყების საქმის გამო გამოაცხადა განაჩენი მეორე ხარისხის 48 დამნაშავეს შესახებ. ამ დამნაშავეთა შორის ორიგამართლებულ იქნა. ერთს მცირე წლოვანს საპრობილეში დაპატიმრება გადაეწყვიტა, ხოლო დანარჩენს 45, დასახლებულ აჯანყებაში მონაწილეს, ჩამორჩობა მიესაჯა. ამასთან სასამართლომ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ 32 კაცი ჩამორჩობის ნაცვლად 20 წლით კატორგაში იქმნენ ვაგზავნილი, ორი საპრობილეში დაპატიმრებულ ორის წლით, ხოლო დანარჩენ 11 დამნაშავესათვის სასამართლომ შეამდგომლობა შეუძლებლად დანახა. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება 34 დამნაშავეს სასჯელის შემსუბუქება და უბრძანა, რომ სიკვდილით დასჯის ნაცვლად დამნაშავენი კატორგაში ვაგზავნონ და სატუსალოში დაპატიმრონ.

ტაშკენტი. სკლილოზენ რაც შეიძლება მალე დაბოლოვონ ანდიანის საქმე. დაპატიმრებულნი 400 კაცზედ მეტი, იმყოფებიან ანდიანსა, ოშსა, ნამანგანსა, მარგელანში და 5 ჯგუფად არიან დაყოფილნი. 3 ივნისს სისრულეში მოიყვანეს განაჩენი იმთ შესახებ ვინც უტრო დამნაშავე იყვნენ. 48 კაციდგან განთავისუფლდნენ იქმნა 2, სიკვდილით დასჯა გადაეწყვიტა 45; მათ შორის 37 კაცი შეწყნარებულ იქნა, 9 კაცი ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ საჯაროდ იქმნა ჩამორჩობილი. დანარჩენ დამნაშავეთა საქმე აქლო მომავალში განიჩევა. მთელ მხარეში მშვიდობიანობაა.

მმსინობრადი. მთავარი, მთავრის მეუღლე და მთავრის ძე ბორისა „ერიკლიკ“ ის ხომალდით ოდესაში წავიდნენ. თან ახლავთ მინისტრპრეზიდენტი და ს.მხედრო მინისტრი.

სანტ-იაგო. მეციხოვნენი, ტორალის უფროსობით, სიმეგრებიდგან გამოვიდნენ, იმ ადგილას მივიდნენ სადაც ამერიკის ჯარი სდგას და იარაღი აიყარეს. ესპანიის დროშა ჩამოიღეს, ხოლო ამერიკისა აღმართეს.

ვაშინგტონი. სამხედრო საბჭოში განხილულ იქნა საქმის აწინდელი ვითარება. გამოიჩევა, რომ ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ ესლა საჭიროა პორტო რიკოს დაეცნენ და ვატსონის ესკადრა ესპანიის ნაპირებისაკენ იქმნას ვაგზავნილი.

შანხაი. ხელ-ახლა მოხდა აჯანყება. ფრანგებმა აჯანყებულთაგანი 15 კაცი მოკლეს. ესლა მშვიდობიანობა. ხმა დადის, რომ აჯანყებულთა მეთაური და საფრანგეთის გლნი ურთიერთ შორის მორიგდნო.

მადრიდი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ პორტო-რიკოში აფეთქებულ იქნა 150 ფუთი, რომლებშია სასროლი მასალა იყო. 14 არტილერიისტი მოკლულ, ხოლო რამდენიმე დაჭრილ იქმნა.

ტანკირიდგან დებეშით იუწყებიან, რომ ვატსონის ესკადრას სამზაბათს მოელოდებიან.

შეტყობისა ბიბუა, 3 ივლისი

შეიღვეთ	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
50%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა	—	—	217 1/2
4 1/2% გირავნობის ფურცლები იმვე ბანკისა	—	—	—
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა	—	—	—
5% იმვე ბანკისა	—	—	—
6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა	—	—	—
5% იმვე ბანკისა	—	—	—
9% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	100 1/4	—	—
5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი	—	—	290 1/2
5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი	—	—	250 1/2

განცხადებანი

სტვილისს სათავად-აზნაურო სოკოლისაგან

მიმდინარის წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ სამოც და შვიდი ვაკანსია (67): პირველ განყოფილებაში 50 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორეში — თერთმეტი (11) — (8 და 9 წლის ყმაწვილნი) და მეოთხეში — 6 (10-11 წლ. ყმაწვილნი); სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

67 ვაკანსიიდგან 66 არის დანიშნული გარედგან მოსიარულეებისათვის და ერთი არის საზოგადოების სრულს ხარჯზედ.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნათან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მამროს თავად-აზნაურობის წინამძღოლით, საგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკიდან, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, და დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, დამფუძნებლობის გარდა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიქვრენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს პანსიონში იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზედ დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სასწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასს.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კლდე გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზედ ისურვენს პანსიონში შემოსვლას, ან ნაკლებ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი, ათი შემოსვლისათანავე და ათი — იანვარში.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 25-დამდის, ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოჰგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдвающему Тифлисской Дворянской школой, на Лабораторной ул.

აგვისტოს 25, 26, 27 და 28 რიცხვებში მოხდება ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 31 მისაღები ეგზამენები. 1 სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქმნებიან აგრეთვე ის გარედგან მოსიარულეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1898/99 სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობელმა უნდა წარმოადგინოს თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა როგორც ფულის თავ თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (10-უ.—3)

სტვილისს ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს, რომ მისს სადგომში 15 ივლისს, ნაშუადღევს 1 საათზედ, **მამრობა იმხმება გამართული**, რომ ხომ არაინ იკისრებს ტფილისის ცხენის რკინის გზის ორგანო და-ათის ვაგონისათვის საჭირო ცხენების მოკვებას.

ვაკრობაში მონაწილეობის მიღების ესურველთ შეუძლიანთ პირობების შეტყობა ქალაქის გამგეობის სააღმწებლო განყოფილებაში. (3-6.—1)

წყალში განსაცხელისაგან დამცველის საზოგადოების მმართველობა ამითი აცხადებს ქ. ტფილისის მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ მსკერის შემდეგს ადგილებშია ნუგზადართული მანამბა,

სახელდობრ: მ. რჯვნივ, ვერის ხიდის ზემოდ და ქვემოდ და მარცხნივ, გოგოლოს აბანოს ქვემოდ, ნავთლულის აღმართთან, დიხიქალის მახლობლად. ამ ადგილებს მუდამ თვალყურს ადევნებენ ისინი, რომელთაც კარგად იციან ცურაობა, რომ ბანაობის დროს რაივე უბედურება არ დატრიალდეს. (2-უ.—2)



Т-во БРОКАРЪ и К^о.
ИЗОБРАТATEЛИ
ПАРФЮМЕРИИ
„Персидская сирень“
0-де-колонъ.
Духи. ❖ Мыло.



Прощимъ остерегаться по дѣлѣлкѣ.

(11-3-11)